

ორგანიზებულ დანაშაულთან ბრძოლის მექანიზმები, სამართლებრივი სივრცეები და
გამოწვევები



გიორგი ჭაბუკაშვილი

*სამაგისტრო ნაშრომი წარდგენილია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის
სამართლის სკოლის
სისხლის სამართლის ფაკულტეტზე მაგისტრის აკადემიური
ხარისხის
მინიჭების მოთხოვნების შესაბამისად*

სისხლის სამართალი

სამეცნიერო ხელმძღვანელი: მარინა მესხი, სამართლის დოქტორი

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

თბილისი, 2021

როგორც წარდგენილი სამაგისტრო ნაშრომის ავტორი, ვაცხადებ, რომ ნაშრომი წარმოადგენს ჩემს ორიგინალურ ნამუშევარს და არ შეიცავს სხვა ავტორებისადმი აქამდე გამოქვეყნებულ, გამოსაქვეყნებლად მიღებულ ან/და დასაცავად წარგენილ მასალებს, რომლებიც ნაშრომში არ არის მოხსენიებული ან ციტირებული სათანადო წესების შესაბამისად.

გიორგი ჭაბუკაშვილი

21.06.2021

აბსტრაქტი

შესავალი: გლობალიზაციის პროცესების განვითარებასთან ერთად გაიზარდა ორგანიზებული დანაშაულის მასშტაბები და შესაძლებლობები. დამნაშავეებმა შეძლეს საკუთარი დანაშაულებრივი საქმიანობის განვითარება, გავრცელება და გაძლიერება. თავისუფალი ეკონომიკური და ფინანსური სივრცე, მსოფლიოს ერთი წერტილიდან ნებისმიერ წერტილში გამარტივებული მიმოსვლა, კომუნიკაციის პრაქტიკულად უსაზღვრო შესაძლებლობები ორგანიზებული დანაშაულის მთელ მსოფლიოში „განვითარებისათვის“ ნოყიერ ნიადაგს ქმნის. შესაბამისად, ორგანიზებული დანაშაული მსოფლიოსათვის დღევანდლობის ერთ-ერთ ყველაზე აქტუალურ გამოწვევას წარმოადგენს.

ჩემს სამაგისტრო ნაშრომში ყურადღება გამახვილებული იქნება ორგანიზებული დანაშაულის არსზე, მისი გამოვლენის ფორმებზე, საფრთხეებსა და პასუხისმგებლობის საკითხებზე. ასევე, სხვადასხვა ქვეყნების საკანონმდებლო ნორმების შედარებითი ანალიზის საფუძველზე, გამოვლენილი იქნება ის ძირითადი ხარვეზები და სისუსტეები, რაც ჩემი გადმოსახედიდან, არსებობს საქართველოს კანონმდებლობაში ორგანიზებულ დანაშაულთან ბრძოლის თვალსაზრისით. განხილულია მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნებში ჩამოყალიბებული საუკეთესო პრაქტიკა, რაც დაკავშირებულია ორგანიზებული დანაშაულის პრევენციასთან, გამოვლენასა და აღკვეთასთან.

მეთოდოლოგია: ნაშრომზე მუშაობისას გამოყენებული იქნა სხვადასხვა მეთოდები, რაც საკითხის კომპლექსურად და სრულყოფილად აღქმის საშუალებას იძლევა. ამასთან, ნაშრომს ხდის უფრო საინტერესოს. გამოყენებულ მეთოდებს შორისაა ისტორიული, რაც საშუალებას მოგვცემს დავინახოთ თუ რა გამოწვევები როგორ იქნა დამლეული დროთა განმავლობაში და რა კიდევ რა საკითხებია გადასაჭრელი. არსებული ხარვეზების და დასარეგულირებელი საკითხების უკეთ გამოვლენის მიზნით გამოყენებულია

შედარებითი, აღწერის და ანალიზის მეთოდებიც; წარმოდგენილია სხვადასხვა ავტორის მოსაზრებები, რაც ობიექტური დასკვნის გაკეთების კარგ საშუალებას იძლევა.

მიზანი, შედეგები: ნაშრომში მოცემულია ორგანიზებული დანაშაულის ძირითადი ასპექტები და მიმართულებები და ასევე, წამყვანი ქვეყნების მრავალწლიანი პრაქტიკის ანალიზის გზით ნაშრომში იდენტიფიცირებულია საქართველოს საკანონმდებლო სივრცეში არსებული მიმდინარე გამოწვევები და წარმოდგენილია მათი გადაჭრის გზები.

დასკვნა, რეკომენდაციები: დროთა განმავლობაში კრიმინალური სამყაროს წარმომადგენლებმა იპოვეს სხვადასხვა გზა, როგორ გააძლიერონ საკუთარი საქმიანობა. წამყვანი კრიმინალური ორგანიზაციები და დაჯგუფებები ხასიათდებიან ძლიერი ფინანსური მდგომარეობით, რაც თავის მხრივ, ზრდის მათი შესაძლებლობების ფარგლებს. შესაბამისად, ორგანიზებულ დანაშაულთან ეფექტური ბრძოლა აუცილებლად უნდა ხასიათდებოდეს კომპლექსურობით, ანალიზის შედეგად გადადგმული მიზანმიმართული ნაბიჯებით და ეფექტური საკანონმდებლო ბერკეტებით. ორგანიზებული დანაშაულების მასშტაბურობიდან და თავისებურებებიდან გამომდინარე, ვთვლი, რომ სხვადასხვა ქვეყნების პარტნიორობა და ურთიერთდახმარება დიდ როლს ითამაშებს არსებული გამოწვევების დაძლევაში. ჩემი რეკომენდაციაა, რომ საუკეთესო შედეგის მისაღებად საჭიროა დეტალურად იქნას შესწავლილი იმ ქვეყნების პრაქტიკა და გამოცდილება, სადაც ორგანიზებულ დანაშაულთან ბრძოლის სტატისტიკა არის დადებითი და შემდეგ უკვე მათი მიდგომებისა და გატარებული ღონისძიებების ჩვენს სამართლებრივ სივრცესა და რეალობაზე მორგება, რაც საშუალებას მოგვცემს ეფექტურად დავძლიოთ მიმდინარე გამოწვევები.

Abstract

Introduction: In parallel to development of globalization process, increased are the scales and possibilities of the organized crime. Offenders managed to enlarge, spread and empower their activities. Free economical and financial space, simplified movement from one point of the world to any other, almost limitless communication abilities creates the fertile environment for “development” of organized crime all around the world. Consequently, organized crime is one of the most pressing challenge of present period.

My Master’s work draws attention on the essence of organized crime, it’s revealing forms, risks and liability subjects. Also, based on the comparative analyses of legislation norms of different states, revealed were the main gaps and weaknesses, that from my point of view, are existing in the Georgian legislation against the organized crime. Discussed is the best practice of different states, that is relate to prevention, reveal and punishment of the crime.

Methodology: During working on the paper, used was different methods, that gives the possibility to percept the subject and it’s complexity in whole. Meanwhile, it makes the work more interesting. Between other methods, used was hystorical, that creates the ability to see what kind of challenges were overcome during the time and how, and what are the current subjects, that require solutions. For better reveal of the current weaknesses and the subjects, that are to be regulated, used are the methods of comparing, describing and analysis; Compared are the opinions of different authors, based on which, objective conclusion can be made.

Purpose, results: Main aspects and directins of the organized crime are given in the work and also, based on the analysis of the practices of leading states, idenfited are the currently existing challenges in the legislative space of Georgia and the required solutions.

Conclusion, recommendations: Overtime, representatives of the criminal world found different ways to empower their activities. Lead criminal organizations and groups are characterized with strong financial conditions, which in turn, increases their abilities. Consequently, successful fight against organized crime have to be complex, with analyzed purposeful steps and effective legislative levers. Due to the scale and characteristics of the organized crimes, I do believe, that partnership between different states and mutual assistance will play a significant role in overcoming the current challenges. My recommendation for achieving the best result is to study the practice and experience in detail, of the states, where the statistics against the organized crime is positively high and afterwards, based on their politics and undertaken events, their attitude to be applied on our legislative space and modified according to the actual necessities, that will give us the possibility to effectively overcome the existing challenges.